

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გავლენა კერძო
ნებაყოფლობითი დაზღვევის სექტორზე საქართველოში

ნინო შათირიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მირზიკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შათირიშვილი, 2025 წელი

აბსტრაქტი

2013 წელს საყოველთაო პროგრამის ამოქმედებამ ფუნდამენტურად შეცვალა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურა, გააუმჯობესა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, თუმცა მასთან ერთად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა კერძო სადაზღვევო სექტორი. ნაშრომი მიზნად ისახავს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გავლენის შეფასებას კერძო ნებაყოფლობითი დაზღვევის სექტორზე საქართველოში.

ნაშრომში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ (301 რესპონდენტის სტრუქტურირებული ონლაინ-გამოკითხვა) და თვისებრივ კვლევის მეთოდებს. კვლევის მიზანი იყო, გამოეკვეთა, როგორ შეიცვალა კერძო დაზღვევის ბენეფიციართა რაოდენობა და როგორი სტრატეგიებით რეაგირებს კერძო სექტორი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცვლილებებზე.

მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ სახელმწიფო პროგრამამ მნიშვნელოვნად შეამცირა კერძო დაზღვევის მომხმარებელთა წილი, განსაკუთრებით ინდივიდუალური პოლისების კუთხით. ამასთან, კერძო დაზღვევა კვლავ ფუნქციონირებს კორპორაციული მოდელის ფარგლებში და ითვალისწინებს იმ სერვისებს, რომლებსაც საყოველთაო პროგრამა არ ფარავს.

ნაშრომი ასკვნის, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის პარტნიორობის გაძლიერება და შერეული დაფინანსების მოდელის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ეფექტიანობას, თანასწორობაზე დაფუძნებულ წვდომას და მოქალაქეთა არჩევანის თავისუფლებას.

საკვანძო სიტყვები: საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო დაზღვევა, ჯანდაცვის რეფორმა, ჯანმრთელობის პოლიტიკა, სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო-სექტორის პარტნიორობა.

Abstract

This thesis explores the impact of Georgia's Universal Health Coverage (UHC) program on the development of the voluntary private health insurance sector. Launched in 2013, the UHC program significantly restructured the national healthcare system, improving access to medical services while also challenging the existing role of private insurers.

A mixed-methods approach was employed, combining quantitative data from a structured online survey of 301 respondents with qualitative insights obtained through semi-structured interviews. The study aimed to assess changes in private insurance enrollment and analyze strategic responses by insurance companies to the state's healthcare reforms.

Findings indicate that UHC led to a sharp decline in individual private insurance uptake, while corporate health plans remain the dominant model. Private insurance now largely covers services excluded from the UHC package.

The study concludes that sustainable healthcare development in Georgia requires strengthened public-private collaboration and the introduction of a hybrid funding model that ensures efficiency, equitable access, and patient choice.

Keywords: Universal Health Coverage, Private Insurance, Health Reform, Health Policy, Medical Services, Public-Private Partnership.